აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №8

18/09/2024 წელი **ქ. ბათუმი**
12[00] საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე - **პარმენ ჯალაღონია.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე;

ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;

ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;

მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;

ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი;

ციალა შავაძე - უსკოს წევრი;

თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი;

სულხან ტაკიძე - უსკოს წევრი - პ/გ „კი ევროპას-სტრატეგია აღმაშენებელი“;

დავით ქარცივაძე - უსკოს წევრი - პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

ივანე ფირცხალაიშვილი – უსკოს წევრი - პ/გ „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“;

კახაბერ ჯაიანი - კომისიის წევრი - პ/გ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“;

ზურაბ გოლიაძე - კომისიის წევრი - პ/გ „გირჩი“;

სალომე რაზმაძე - კომისიის წევრი - პ/გ „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“;

ავთანდილ იაკობიძე – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“.

არ ესწრებოდნენ:

გიორგი ხოკერაშვილი - კომისიის წევრი - პ/გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“;

ემზარ თოდუა – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპელი სოციალისტები“.

აგრეთვე ესწრებოდნენ:

სულხან ჩოგაძე - საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ფრიდონ ბათნიძე - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ლევან სამნიძე - საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტი.

რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები უსკოში.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების შესახებ;

2. განკარგულება
საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ;

3. განკარგულება
„ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 28 აგვისტოს №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

4. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 15 ;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 15 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების შესახებ;

2. განკარგულება
საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ;

3. განკარგულება
„ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 28 აგვისტოს №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

1. განკარგულება
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს წარუდგინა და გააცნო, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად საერთო არჩევნებისთვის

ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები, უმაღლესი საარჩევნო კომისია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონით უფლებამოსილია საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებსა და ხელმძღვანელ პირებზე გასცეს შრომის ანაზღაურება, არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან, ასევე პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის თანახმად, უსკო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის გასცემს ცესკოს მიერ დადგენილი შრომის ანაზღაურების 50 %-ს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ, განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 15;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 15 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და ხელმძღვანელ პირებზე გაიცეს შრომის ანაზღაურება „2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 27 აგვისტოს №87/2024 და „2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის

შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 27 აგვისტოს №88/2024 განკარგულებებით, 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის, გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს 50%-ის ოდენობით.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და ხელმძღვანელ პირებს არჩევნების დღემდე 30-ე დღიდან ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენამდე ეძლევათ შრომის ანაზღაურება არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან ამ განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოების შესაბამისად.

3. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტს.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

2. განკარგულება
საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა და გააცნო საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ, განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების განხორციელებისათვის საჭიროა საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საწვავის ხარჯების გამოყოფა. ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საარჩევნო ოლქებისათვის გამოყოფილია თითოეულისათვის 1420 ლარის ოდენობის საწვავი, რაც გულისხმობს 500 ლიტრ საწვავს, საარჩევნო მიზნებისთვის.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საწვავის ლიმიტისათვის ხარჯების გამოყოფის შესახებ, განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 15;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 15 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 21 აგვისტოს N4 დადგენილების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხების განხორციელებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გამოყოფილი იქნას საწვავის ხარჯი შემდეგი ოდენობით:

№	ოლქის №	ოლქის დასახელება	ოლქის ხარჯი (გადაზიდვის ხარჯი)
1	79	ბათუმი	1420
2	80	ქედა	1420
3	81	ქობულეთი	1420
4	82	შუახევი	1420
5	83	ხელვაჩაური	1420
6	84	ხულო	1420
სულ			**8520**

2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოცემული იქნეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი, რომლითაც ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში მოხდება საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საწვავის ლიმიტის ოდენობის განსაზღვრა შესყიდვის მომენტისათვის ბაზარზე არსებული ფასის გათვალისწინებით.

3. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ განკარგულების საფუძველზე უსკოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში საწვავის შესყიდვა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ტალონური სისტემით საოლქო საარჩევნო კომისიებზე გადაცემა.

4. საოლქო საარჩევნო კომისიებმა უზრუნველყონ მათთვის გადაცემული საწვავის მიზნობრივად გამოყენება და ხარჯვის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება
„ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 28 აგვისტოს №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა და გააცნო „ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 28 აგვისტოს №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ რადგან უსკოს მიერ დადგენილი ნარკოლოგიური შემოწმების დაწესებულებების მიერ გაცემულ ცნობას მოქმედების ვადა არ აქვს, მიზანშეწონილია უსკოს მიერ განსაზღვრული დაწესებულებების მიერ გაცემული ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარდგენილ პარტიულ სიას დაერთოს თუ ის გაცემულია პარტიული სიების წარდგენის ბოლო ვადამდე 20 კალენდარული დღის ვადაში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის

28 აგვისტოს №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 15;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 15 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის 28 აგვისტოს №15 განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„**3^1** ამ განკარგულებით განსაზღვრული დაწესებულებების მიერ გაცემული ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარდგენილ პარტიულ სიას დაერთვება თუ ის გაცემულია პარტიული სიების წარდგენის ბოლო ვადამდე 20 კალენდარული დღის ვადაში.“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **ტარიელ გოგიტიძე**